



საქართველოს შრომის
ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
სამინისტრო

**მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის
(სამკურნალო საშუალების) ფორმა №3**

**ელექტრონული რეცეპტის გამოწერის დეტალური ინსტრუქცია
პაციენტისთვის**

1. პაციენტის ავტორიზაცია

ელექტრონული რეცეპტის სისტემაში შესვლის მიზნით, მომხმარებელმა - პაციენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია ელექტრონული რეცეპტის ვებ გვერდზე- <http://eprescription.moh.gov.ge/login.php>

შესვლისთანავე გამოჩნდება ინტერფეისი წარწერით „სისტემაში შესვლა“ რომელიც დაყოფილია ექიმის, ფარმაცევტისა და პაციენტის ნაწილებად (ნიმუში 1).

ნიმუში 1: სისტემაში შესვლა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF LABOUR HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სისტემაში შესვლა

ექიმი ფარმაცევტი **პაციენტი**

პაციენტის მოდული

პირადი ნომერი


პაროლი

დაგავიწყდათ პაროლი?

ავტორიზაცია

სისტემაში შესასვლელად მომხმარებელს საწყის, სისტემაში შესვლის გვერდზე (ნიმუში 1) შეჰყავს პირადი ნომერი და პაროლი შესაბამისი სათაურების მქონე ველებში. შემდეგ კი აჭერს ღილაკს „ავტორიზაცია“. მონაცემების სისწორის შემთხვევაში სისტემას ექიმი გადაყავს მთავარ მენიუში, მის პირად გვერდზე (ნიმუში 2).

ნიმუში 2: პაციენტის გვერდის მთავარი მენიუ

დანიშნულებები	რეალიზაციის ისტორია	ლოგების ისტორია	დახმარება	
				პროფილის რედაქტირება
				პაროლის შეცვლა
				გამოსვლა

პაციენტისათვის პაროლის მინიჭება ხდება მისი ექიმთან პირველი ვიზიტის დროს: როდესაც ექიმი სისტემაში პირველად მოიძიებს კონკრეტულ პაციენტს, და მიუთითებს პაციენტის იმეილს, აღნიშნულ იმეილზე პაციენტს ეგზავნება დროებითი პაროლი, რომლის გამოყენებითაც პაციენტი ახდენს ავტორიზაციას და იქვე ქმნის ინდივიდუალურ პაროლს.

იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს დაავიწყდა მისი პაროლი, იყენებს „დაგავიწყდათ პაროლი“-ფუნქციას, რომელიც მოცემულია ნიმუშზე 1. პაროლის აღსადგენად პაციენტს შეჰყავს მისი პირადი ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი. აღნიშნული კომბინაციის სისწორის შემთხვევაში პაციენტს ელექტრონული მეილით მისდის დროებითი კოდი. პაციენტი ხსნის იმეილს, ნახულობს მიღებულ დროებით კოდს და შეჰყავს შესაბამის ველში. შემდეგ კი ახალი პაროლის ველში წერს მისთვის სასურველ ახალ პაროლს, რომელსაც განმეორებითი შეყვანით ადასტურებს.

ნიმუში 3: პაროლის ცვლილება

დადასტურეთ კოდი ×

შეიყვანეთ მიღებული კოდი

შეიყვანეთ ახალი პაროლი

გაიმეორეთ ახალი პაროლი

შეცვლა

პაციენტის გვერდზე შესვლისას, გამოდის მენიუ, რომლის მთავარი კომპონენტებია დანიშნულებები, რეალიზაციის ისტორია, ლოგების ისტორია და დახმარება. ზედა მარჯვენა კუთხეში კი მოცემულია პაციენტის პერსონალური მონაცემები (ნიმუში 2). პერსონალური მონაცემის გვერდზე ჩამოსაშლელ მენიუზე დაკლიკებით პაციენტს შეუძლია პროფილის რედაქტირება, პაროლის შეცვლა და სისტემიდან გამოსვლა.

2. დანიშნულებები

დანიშნულებებში მოცემულია ინფორმაცია პაციენტის ყველა ვიზიტისა და ყველა ელექტრონული დანიშნულება და დანიშნული ყველა მედიკამენტების ჩამონათვლი მათი დეტალური მახასიათებლებით (ნიმუში 4 და 5).

„ვიზიტი“ (ნიმუში 4) გვიჩვენებს პაციენტის ექიმთან კონსულტაციის რაოდენობას, ანუ რამდენჯერ გამოეწერა მას დანიშნულება. ვიზიტში მოცემულია დანიშნულების ნომერი, შექმნის თარიღი, ექიმის გრაფაში მოცემულია „მე“ და „სხვა“, ანუ მოცემულმა ექიმმა გამოწერა კონკრეტული დანიშნულება თუ სხვა ექიმმა. რაოდენობაში მოცემულია დანიშნული მედიკამენტების რაოდენობა. მის გვერდზე მდებარე გრაფა კი გვიჩვენებს დანიშნულ მედიკამენტთან რამდენი მოითხოვს რეცეპტს. სტატუსი გვიჩვენებს აქტიურია კონკრეტული რეცეპტი თუ ვადაგასული.

ჩამონათვალი შესაძლოა დალაგდეს (დასორტირდეს) ნებისმიერი კომპონენტის მიხედვით.

„დანიშნულებებში“ მოცემულია დანიშნულება დეტალურად (ნიმუში 5). ცხრილი შედგება შემდეგი გრაფებისგან:

1. შექმნის თარიღი,
2. მედიკამენტის დასახელება,
3. გამოწერილი რაოდენობა,
4. გამოწერის ფორმა, ანუ გენერიკი, გენერიკი და სავაჭრო თუ მხოლოდ სავაჭრო,
5. დოზის ცვლილების შესაძლებლობა (თუ მცირე ზომის მოსანიშნი უჯრა მონიშნულია, ეს ნიშნავს რომ დოზის ცვლილება შესაძლებელია),
6. ფარმაკოლოგიური ჯგუფი,
7. ჯგუფი და გაცემის რეჟიმი,
8. ექიმი („მე“ ან „სხვა“),
9. მიღების წესი,
10. რეცეპტის ნომერი,
11. რეცეპტის მოქმედების ვადა,
12. რეალიზებული რაოდენობა,
13. სტატუსი (მოქმედია თუ არა მოცემულ მედიკამენტზე გამოწერილი რეცეპტი).

ნიმუში 4: დანიშნულებები

დანიშნულებები რეალიზაციის ისტორია ლოგების ისტორია დახმარება

ვიზიტი	დანიშნულებები					
ნომერი	შექმნის თარიღი	ექიმი	რაოდენობა	მ.შ რეცეპტი	სტატუსი	
<input type="checkbox"/>	D3E0000037966	18/12/2017	სახელი გვარი	1	1	აქტიური
<input type="checkbox"/>	D3E0000037927	18/12/2017	სახელი გვარი	1	1	აქტიური
<input type="checkbox"/>	D3E0000037921	18/12/2017	სახელი გვარი	2	2	აქტიური
<input type="checkbox"/>	D3E0000037549	15/12/2017	სახელი გვარი	2	1	აქტიური
<input type="checkbox"/>	D3E0000035435	07/12/2017	სახელი გვარი	1	1	აქტიური
<input type="checkbox"/>	D3E0000034850	05/12/2017	სახელი გვარი	1	1	აქტიური
<input type="checkbox"/>	D3E0000031330	20/11/2017	სახელი გვარი	1	1	აქტიური
<input type="checkbox"/>	D3E0000029910	14/11/2017	სახელი გვარი	1	0	აქტიური
<input type="checkbox"/>	D3E0000029908	14/11/2017	სახელი გვარი	1	1	აქტიური
<input type="checkbox"/>	D3E0000029907	14/11/2017	სახელი გვარი	1	1	აქტიური

ნინა 1 2 3 4 5 6 შემდეგი

ნიმუში 5: დანიშნულებები

დანიშნულებები რეალიზაციის ისტორია ლოგების ისტორია დახმარება

ვიზიტი	დანიშნულებები												
შექმნის თარიღი	მედიკამენტი	რაოდ.	გამონერის ფორმა	შესაძლებელია ნაწყვეტება	ფარმაცოლოგიური ჯგუფი	ქვეფი და გაცემის რეჟიმი	ექიმი	მიღების წესი	რეცეპტის ნომ.	ვადა	ნარჩენი რაოდ.	სტატუსი	ნიმუში
18/12/2017	Amoxicillin / Amoxicillin / 500 მგ კაფსულა N100 /	28	შუილოდ გარეოტოტი	☑	ბეტა - ლაქტამური ანტიბიოტიკი პენიცილინების ჯგუფიდან	II ქვეფი, კაიცემა ფორმა N3 რეცეპტით	სახელი გვარი	1 ჯერ დღში 4ჯერ შემდეგ	F3E10000042676	01/02/2018	24	აქტიური	D3E0000037966
18/12/2017	Amoxicillin / Amoxicillin / 250 მგ კაფსულა N100 /	5	შუილოდ გარეოტოტი	☑	ბეტა - ლაქტამური ანტიბიოტიკი პენიცილინების ჯგუფიდან	II ქვეფი, კაიცემა ფორმა N3 რეცეპტით	სახელი გვარი	5	F3E10000042624	23/12/2017	5	ფარმაცეტი	D3E0000037927
18/12/2017	Amoxicillin / Amoxicillin / 125მგ/5მლ 90 პლ პეტოროლური სუბსტანციის მონოჰიდრატის მესხვალა ფლასკით N1 სახიში კონტეინერი /	5	შუილოდ გარეოტოტი	☑	ბეტა-ლაქტამური ანტიბიოტიკი პენიცილინების ჯგუფიდან	II ქვეფი, კაიცემა ფორმა N3 რეცეპტით	სახელი გვარი	5	F3E10000042617	23/12/2017	5	აქტიური	D3E0000037921

- 17. ფარმაკოლოგიური ჯგუფი
- 18. ჯგუფი და გაცემის რეჟიმი
- 19. სტატუსი

ჩამონათვალი რეალიზებული მედიკამენტებიდან სასურველ გაცემულ მედიკამენტზე დადგომით და მაუსის მარჯვენა ღილაკზე დაჭერით გამოდის მენიუ, რომლითაც პაციენტს შესაძლებლობა აქვს მოახდინოს მედიკამენტის გაცემის ფორმის ბეჭდვა.

4. ლოგების ისტორია

ლოგირების ფუნქციის საშუალებით, პაციენტს საშუალება აქვს მოიძიოს ინფორმაცია ელექტრონული რეცეპტების სისტემის ფარგლებში, თუ ვის დაამუშავა მის შესახებ ინფორმაცია (ნიმუში 7).

ნიმუში 7: დანიშნულებები

დანიშნულებები რეალმაკის ისტორია ლოგების ისტორია დახმარება				
ლოგის თარიღი	ოპერ. ტიპი	მომხმარებლის ტიპი	მომხმარებლის ვინაობა	ინფორმაციის დამუშავების შემთხვევათა რაოდენობა
2017-12-18	დანიშნულება	ექიმი	სახელი გვარი	30
2017-12-18	რეცეპტი	ექიმი	სახელი	10
2017-12-18	რეცეპტი	ფარმაცევტი	????	6
2017-12-17	დანიშნულება	ექიმი	ნათია ნოლაიძე	5
2017-12-15	დანიშნულება	ექიმი	სახელი გვარი	13
2017-12-15	რეცეპტი	ექიმი	სახელი	11
2017-12-15	რეცეპტი	ფარმაცევტი	????	3
2017-12-15	რეცეპტი	ფარმაცევტი (ფელა)	სახელი	1
2017-12-14	რეცეპტი	ფარმაცევტი	????	2
2017-12-07	დანიშნულება	ექიმი	სახელი გვარი	5

ლოგირების ისტორიაში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

1. ლოგირების თარიღი- ანუ როდის განხორციელდა ინფორმაციის დამუშავება,
2. ოპერაციის ტიპი - კონკრეტულად რომელი სექციის დამუშავება განხორციელდა (დანიშნულება, რეცეპტები...)
3. მომხმარებლის ტიპი- ვის მიერ განხორციელდა ინფორმაციის დამუშავება (ექიმი, ფარმაცევტი)
4. მომხმარებლის ვინაობა - კონკრეტული მომხმარებლის სახელი და გვარი, ვინც დაამუშავა ინფორმაცია
5. ინფორმაციის დამუშავების შემთხვევათა რაოდენობა - სულ რამდენჯერ

განხორციელდა კონკრეტული ინფორმაციის დამუშავება.

ლოგების ისტორიის საშუალებით, პაციენტს ყოველთვის შეუძლია აკონტროლოს მის პერსონალურ და სამედიცინო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და არასასურველი პრეცედენტის შემთხვევაში მიმართოს შესაბამის უწყებას.